საქართველოს მთავრობის

დადგენილება №555

2014 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №406 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №406 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, 040030000.10.003.01.017569) შეტანილ იქნეს ცვლილება და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების:

1. მე-4 მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ვ^{1}) საქსტატის თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოზე დანამატის დაწესება და მისი ოდენობის განსაზღვრა საქსტატის საბჭოსთან შეთანხმებით;“.

2. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^{1}“ ქვეპუნქტი:

„ე^{1}) თანხმობას აძლევს აღმასრულებელ დირექტორს საქსტატის თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოზე დანამატის დაწესებასა და ოდენობაზე;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**